

№ 5-22  
08



# საბჭოელი № 22



საქართველო  
საბჭოელი

1908

მცირე

ფლოკანტოთვის

დეკემბერი

# შინაარსი

I—ზოზია.—(დექსი), აკაკის . . . . .	1
II—მაროს ინდოურები.—ტქვატის . . . . .	5
III—მამაცი ცქვიტა.—მ. გარეულის . . . . .	9
IV—მეხრე.—(დექსი) ფელიმონ სირაძის . . . . .	13
V—ორი ბელურა.—(ფრანგულიდან) ს. ცომაძისა . . . . .	15
VI—ქვიშა.—(ვაგნერიდან) დ. ე—ისა . . . . .	17
VII—ექიმთან.—(რუსულით) თ. ბაქრაძისა . . . . .	21
VIII—ა) აკროსტიხი, მ. ჯვალაშვილისა. — ბ) გამოცანე- ბი,—ვ) რებუსი და აღსნა . . . . .	23





წილიწალი მ-IV.

№ 23

დამკვეთი 1908 წ.



1) ...  
 2) ...  
 3) ...  
 4) ...  
 5) ...

8939



## შინაარსი

I—შოშია.—(ლექსი), აკაკის . . . . .	3
II—მაროს ინდოურები.—ტქვიტის . . . . .	5
III—მამაცი ტქვიტა.—მ. გარიუღისა . . . . .	9
IV—მებრე.—(ლექსი) ფილიმონ სირაძის . . . . .	13
V—ორი ბელურა.—(ფრანგულიდან) ს. ცომაიასი . . . . .	15
VI—ქვიშა.—(გაგნულიდან) დ. ყ—სა . . . . .	17
VII—ეკიმთან.—(რუსულით) თ. ბაქრაძისა . . . . .	21
VIII—ა) აკროსტიხი, მ. ლელაშვილისა. — ბ) გამოცანე- ბი,—ვ) რებუსი და აღსნა . . . . .	23







# ზღაპარი

ს



ატარა ჩიტი გავსარდე,  
ზირღაღებული შოშია,  
ისე გავწოთვენი, როგორც დღეს  
ემაწვილებს წრთენიან ჩვენშია:

ჩაფხინინებდი ეოკელ-ღღუ  
ადაშიანის ენასა;  
დილიდან დაღამებამდი  
მით ვუერუეებდი სმენასა.

გასწავლე: „შია შოშიას,  
„წეაღ-ტაძტი შოშიასაო,“  
„კატა“ მოვიდა! კატაო!“  
ამბობდა ბეგრსაც სსვასაო.

ამბობდა, მაგრამ არეუით!  
თავ-თავის დროსე ვერ სთქვარა

და შეცა იმის ცოდნაზე  
იჭვები შემოძეზარა.

ვსთქვი: „რასაც ამბობს, არ ესმის,  
ზეზირად დაუსწავლია!  
და ისევ ისე გაუუშვი,  
დავატლევინე კალია!

აკაკი





## მაროს ინდოურები



სტარა მაროს საში ინდოური და ერთი ბრმა  
 ქათამი ებარა. მთელ დღეებს იმათ მოვლა —  
 დეენაში აღაძებდა. ირავრაჟებდა თუ არა, და  
 მისი მამა სამუშაოდ წამოიწვევდა, ისიც ხელ-  
 წაკრულივით თვალებს აჭყეტდა; დამონძილ  
 კაბას ჩაიცვამდა, თუ ჰური ედოთ, ვეებერთელა  
 უჯას მოიხეხავდა, ინდოურებს დაუგურგურებდა  
 და დიღინით ვენახისკენ გასწევდა. ბევრჯელ  
 დრე ისე დაღამებოდა, რომ მარო სასლისაკენ არ მიიხე-  
 დავდა, რადგანაც დედ-მამა მუშაობის გამო სასლში არ ეგუ-  
 ლებოდა, ცარიელ სასლში უოფნას კი გარედ დაღამებს ამჯო-  
 ბინებდა. ვენახის თავში დედა ინდოურს მარო ცაღუფნით კა-  
 ჭაჭხედ სადმე გამოაბამდა; თვითონ ტანტვიით წამოწოლილ  
 დიდ კაკალსედ მოიკალათებდა; ჯერ ჰურს გიანლებოდათ, მერე  
 ტალასს დაუწევებდა ხელას და სიმღერით საეუარელ საქქს  
 მუდგებოდა: დააკეთებდა ჰაწია ქვაბებს, აკვნებს, თეფშებს; ათას  
 ნაირად დაღრეჯელ კაცებს და ქალებს გამოსახავდა, შემდეგ  
 დიდებს ჯვარსა სწერდა, ერთი აძბით ქორწილს ინდიდა:  
 ლეკურს მართავდა, პირით გარძონს უკრავდა, რიკ-რიგით ვეე-  
 ლას ათამაშებდა და თვითონაც თამაშობდა, მერე სუფრას უშლი-  
 და, თეფშებსედ ჰაწია ლუკებს, ვაშლის ნაკბეებს ულავებდა,  
 დიდი ხეყწით იხატებდა და ბოლოს სულ კი თვითონა



სწამდა. ქორწილი რომ მოსწეინდებოდა, ახლა ნათლობას გამართავდა. ძღველს უფალო შეგვიწავლეს ბოხ სმახედ აჯაკურებდა. სოკჯერ კი ვინმე მოუკვდებოდა და მაშინ უნდა გენახათ მონძების ქნევით მისი მოთქმით ტირილი და თავში ცემა. ბრმა ქათამიც იქვე გვერდით უჯდა და მის ბუტბუტსედ მიღ მორეულივით თავსა ჭქინდრავდა.

შემოდგომის მშვიდი და მხიანი საღამო იდგა. ჯერ კიდევ სილით დატვირთულ ვენახებს თავ-პირი ჩამოსტიროდათ.

მორს, მთახე გაწითლებული ტუეც თითქმის დაღონებულივით იცქირებოდა. მარო ღობესედ შექჯდაროიო, კალთაში თავისი ბრმა ქათამი ჩაესვა და ლხვარდ ცინათვის თვალეები გაეშტერებინა...



— ღმერთო ჩემო! როგორ მომწეინდა მარტო ეოფნა და ამათი უურის გდება. ნეტავი ჩქარა მოკრიბონ ე ვენახები, რომ ინდოურების თავის დანებება შეიძლებოდეს. მაშინ სომ მეც შეშველება. ასეთას გაუუტევე გოგოებში თავისუფლად რომ...

მაგრამ... ჩემო ბრძავ, შენ რაღა გეშველება? ეჭ, შე საწუალო, რომ იცოდე, რა უბედური ხარ! დასე, რა მშვენიერობაა აქაურობა, და შენ-კი ვერაფერს სედავ! გერეთი საცოდავი ხარ და მანინ კიდევ ვეელა შენ გბრიეგობს, შენ გემტერება... ვინ იცის, აქამდინ რამდენჯერ ჩაკისვრეტამდენე მაგ თავს, მე რომ ჰატრონად არ გამოგჩენოდი. ოხერი ჩმაგუნა წიწილებიც-კი შენ გინაკუნებდენე მაგ თავში, ეახალი ვვინხილა იეო და რო-გორც გესელ-ქორი ისე გწაწავდა, ბატებისგან სომ მოსვენება აღარ გქონდა, შე საწუალო ჩემო ჯუჯულავ—მიუსაუვარლა მა-რომ და კინწ მოწუეეტილი ბრმა აღერსინანად გუელს მიიხუტა და თან ჩაფიქრდა.

— დმერთო, ნეტავი ისეთი წამალი მოცდა, რომ ეგ თვა-ლები ავიხილო... ან ნეტავი ი ზღაპრებში ნატრის თვალსედ რომ აშობენ, ნეტა სადმე მანონინა და მამინ ნახე, რეებს ვინატრი. რა ბედნიერები ვიქნებოდით! ჯერ ვეელასედ უწინ ჩემი მძა-მისოს გაცოცსლებას ვინატრიდი. მერე, ი მოხვერი რომ დაგეკარგა იმის ჰონას ვინატრიდი... მერე... მერე... კიდევ... ეჭ, რა კარგი იქნებოდა,—ამოიოსრა მარომ, ღობე-სედ ასეეულ სქელ სვიას რბილად თავი მიხურდნო და მარ-ტობით მოქანცულს ოცნებაში კი მიეძინა.

ის იეო მხეც ჩავსვენა. არე-მარე ბინდმა მოიცვა, გრილმა სიომ წამოუბერა და სილი გრიალით ძირს ჩამოეარა,—გა-ვეითლებული ფოთლები ჰხარში შეაფრიალა, შემდეგ სვიას აასი-სინა და მაროს გამოეღვიძა.

— ვაიძე სადა ვარ,—წამოიძახა შეშინებულმა, თვალე-სედ სელი გადისვა და აქეთ იქით მაძოიხედა.

— ჰო, მართლა... მაგრამ ინდოურები?—გახსენდა უეც-რად, ქათამს სელი წამოავლო და ღობისაკენ გაქანდა. ორი ინდოური ღობეში შებუდულიყვნენ, ქესამეს კი ეშვირა ფეხი და უორმით სავსე ვენასს შესეოდა. იქიდგან მეორე ვენასში გადაეიალებულიეო, მეორიდგან შესამეში და ბოლოს ბერი-კანთ უბანში უორმით გატიენულს თავი აძოეეო.

გულგანთქილი მარო კი ვენახებში გაძალებული ეძებდა, მისი „ჭუგო-ჭუგო“ მახილი ბინდ-ბუნდში დიდხანს ისმოდა, მაგრამ ამაოდ...

— რაღა ვქნა, რა წყაღს მივეცე, ი დედა ჩემს რა ზანუ-  
ნი გავცე?... მაგრამ დედას, შოდი არ ვეტყვი. ამით ჩუმიდ  
დავაბინავებ და სვალ, ირაქრაქებს თუ არა, მთელ სოფლის  
ვენახებს გწირავით მოკვდები. თავს მოვკვლავ და ვიპოვნი  
კია.— ასე გარდასწყვიტა ბევრი ძებნისგან დაღლილ-დაქან-  
ცულმა მარომ და მინისაკენ გამოემურა. დედა მისი ჯერაც არ  
დაბრუნებულიყო. მარომ ამითი ისარგებლა: ქათამი და ინდო-  
ურები სხაქაროდ დააბინავა, ბუნართან სხანათი ანათო, ლო-  
გინიც, როგორც იყო, გაძალა და სხანამ დედა დაბრუნდებო-  
და ჯავრიანმა გემრიელი სვრინვა ამოუშვა. შუა ღამე იქნე-  
ბოდა, როდესაც მარო უეცრად ლოგინში წამოიჭრა, მოკუძ-  
შული სელი გულსედ მაგრა მიიკრა და ზირ მოდიმარმა ად-  
ტაცებით წანოივირა:— სემია, ჩემი! ზანამ მასუქს, თეორ წვერა  
ზანამ. იქ... ტეის ზირად ინდოურს ვეძებდი, გტიროდი ზანამ ცრემლი  
მოძმინდა, ინდოურიც მანოვინა... ბერიკანთსა, ბერიკანთსა  
არისო... უგანასკელი სიტყვები სხანა-სსუპით, თითქოს ჩურ-  
ჩულით, დაბოლოვა, დაღლილმა თავი ისევ ბალიშზედ მის-  
ღო, და სელი ფშვინვა ამოუშვა.

— მოგიკვდა დედა, გულში ჩაგოლია, შენ გენაცვალე. ინდოუ-  
რი აკი ვინოვნეთ, ბერიკანთ ნინომ გადმოძიევანა, თავ შემოგველე,  
ნუ გეძინიან.— უაღერსებდა გულ განთქილი დედა და თან აცრემ-  
ლებული გულში მაგრა იკრავდა ზაწიანს.

ექვთი.







## მამაცი ცქვიტა



აოხრება და გატიალებს ასეთს სიცოცხლეს!  
ღმერთს ვუფიცავ, ისე მოძულდა სიცოცხლე,  
რომ ლამის რაზე აუუტყნო ჩემს თავს.

წამოიძახა პატარა ცქვიტამ, შესდგა ფეხი  
თუ არა საკმაოდ მოსწიდი სოროში.

— რა ამბავია!? შენ თუ ალიაქოთი არ ასტყე, სომ არ  
იქნება.— გადმოსძახა ტანტყე წამოწოლილმა ოჯახის ძამამ  
ეურამ.

— რაღა რა ამბავია! მეტი რაღა იქნება? კაცი თუ პირუტყვი,  
ეველა ჩვენსება დაგემილი. გაჭირდა ცხოვრება, მეტი აღარ  
შემიძლია!— ცქვიტას ტირილი მოერია, და იქვე ფუტურო-  
სედ ჩამოჯდა.

— ესეთი იყო, შვილო, ჩვენი დროც. ესლაკი არ დაუ-  
წევიათ თქვენი დევნა. დასაბამიდან გვემტყვებოდა ადამიანი.  
რა ჭქნან? საცხოვრებელს ვუჩანაგებთ; მინდვრად არის, თუ  
ოჯახის კუთხეში, შენახულს არას ვუნარჩუნებთ. არ გვდევ-  
ნოს? ჩვენც რჩენა გვინდა, მასაც, და ამიტომაც ჩვენ შორის  
გამართულა ბრძოლა.

— ჰო, რა თქმა უნდა სხვისა ჭირის ერთ გამოთქმა  
აღვილია.

დასხედე ჩემს სურვს. ტყავი გადამძვრა. იქნება ლოგინა-  
დაც ჩამაგდოს. საკვდილს ძლივსღა გადავრჩი. ნეტავი მოძ-  
კვდარიყავი.— დაუძატა კვენსით.

— რა იყო, შვილო!! რა მოგვივიდა?— გადმოსძახა შეპი-  
ნებულმა დედამ.

— რაც მომივიდა, მომივიდა, მომხედე ერთი, ლოგინი  
გამიძახლე, ლაჩისარნი მოვეკვდე.

დედამ და მისმა შვილმა კუდამ სასარლად შეჭვივრეს,  
როცა ცქვიტას ჭრილობები დაინახეს.

მთელი ოჯახი ფეხზე დადგა: დედა ლოგინს უძლიდა,  
კუდა წელულის უხვევდა, ძამა მახვას უსინჯავდა და ჩაფიქრე-  
ბული ჩაჭურებდა.

ცოტა ხნის შემდეგ ცქვიტა ძივრებით დაფენილ ლოგინში იწვა,  
შუბლსა და გულსეღ თეთრი კომბოსტოს ფოთოლი ეფინა,  
დედა და კუდა თავით უსწდნენ. საღამოსეღ მეზობლებმა მოი-  
ყარეს თავი; ზოგს თხილი მოჭქონდა, ზოგს ნიგოზი, ზოგს  
შაქარი და ათასი რამ. კეთიხებოდნენ, — რა მოგვივიდა?

— დასწევვლოს ღმერთმა ეშმაკი. გაბელანთ კალოხედ  
გავედი, ხარები გამოეშვათ და ვეელანი მიწოლილიფუნენ  
დასასვენებლად. მეც კარგა მივათვალეიერე აქაურობა, კატის  
ჭაჭანებსაც არსად იყო: ბამბურა მადლსაც ჩანძინებოდა. რა-კი,  
გული დავიმძვიდე, გავედი კალოხედ, აბა რას წარმოვიდგენ-  
დი, თუ ისეთს სიფათს გადავეკიდებოდი!

— რა სიფათს?

— კალოს კუთხეში რაღაც მიწა იყო. ნეტავი, რა არის  
მეთქი.

რა გინდოდა, შე ოხერო ჩემო. თავო, რომ იმ ეშმაკის  
ორმოში არ ჩავიმჯრალიყავ? სორბალი განა ისე კი ცოტა  
იყო?

სტუმრები თავს იქნევდნენ, ცქვიტას დედა გულში ხელს  
იცემდა.

— ჰო, მიუხახლოვდი, ჩავხედე, სორბალი ეყარა შიგ. წამძლია  
სულმა, ავიდე და ჩავევა შიგ ცხვირი: შიგ შუა ორმოში რა-  
ღაც ჩხირი იყო. ხედ თურმე პრტეელი ქვა იყო მოუუდებუ-

ლი.—ბავშვებს გავეკეთებინათ ჩიტების დასაჭურად, როგორც კი შევასე ზირი სობობას, ი ჯოსი შეინძრა და ვებერთელ ქვა კი წამოვიდა... ვაი თქვენს მტერს! შეკონა, ქვეყანა თავსედა ჩამომეგონა მეთქი. ვგრძნობდი, რომ ცოცხალი ვიყავი, მხოლოდ არ იქნა და არა, თავი ვერ გავითავისუფლე.

— ვა შენს დედას! სად ვიყავ, რომ ერთს წუთას ექით გადამეგორებინა ი ლოდი!—წაიდუღუნა ლურჯამ.

— უშველოს ღმერთმა ფეფენანთ პატარა პეპოს, რომელიც ემაწვილებს გამოვზარდა, თურმე თავად უნდოდა, საკუთრად ჩაეგდო ხელში ლამაზი ჩიტუნია. ქვა რომ დანახა წაქცეული, სინაზულით ტაში შემოჭერა, ეგონა ჩიტი დავიჭირეო, სწრაფად მომვარდა, ასწია ქვა. ჩემს დანახვასედა შექმინდა: დედაო,—შეჭევირა, მე-კი, განსე გავუსხლტი და თავს ვუშველე.

ხატს უნდა სანთელი ავუნთო, რომ მშვიდობით გადაძირინა შეილი.—ჩაილანაზარკა ლურჯამ.

ბინდისას სტუმრები დაიშალენ: ჯერ კარებს არ გასცილებოდნენ, რომ უეცრად გულის შემსარავი წრიპინ-წრუწუნი მოისმა მესობლის სოროდან.

— მიშველეთ, მიშველეთ! მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტინი.—ვეიროდა, მოზრდილი შუა ხნის თავვი და გამწარებული აქეთ აქეთ აწელებოდა. დიდ ხატურ კატას ზირში ეჭირა სასიკვდილოდ განწირული საცოდავი თეთრა და ციცა დინჯად და თავ-მომწონედ მიაბიჯებდა. ხანდახან შედგებოდა, აღმაცურად დახედავდა თვისს მსხვერპლს: „ღრღრუ“,—ჩაიდრუტუნებდა, უფრო მაგრა გაუერიდა ბასრ კბილს და კვლავ გასწევდა თავის ბინისკენ. საწვალე თეთრა ძლივსდა სუნთქავდა, თეთრას მესობლები ეველანი სულგანაბული მისეკებოდნენ ამ საძინელ სურათს. შიშით ეველას აცანცანებდა. ვერავინ ვერ ბედავდა წინ ნაბიჯის წადემას, გაჭირვებულ მოძმის მიქომაგებას. ერთი წამი კიდევ და თეთრა გამოე-





## მ მ ს რ ე



აწუალი გლესის შვილი ვარ  
 ტანჯვითა გამოზრდილია,  
 ჩემი სასლია საცხოვრი  
 სშირი ტუე, გაფოთლილია.

შვილის წლის ვიეავ, რომ ტუეში  
 მესრედ ვედექი ხარებსა,  
 დამესა გავათენებდი,  
 ვერ დავხუტავდი თვალებსა.

სწავლა არა მაქვს მე საწუალს,  
 ბედმა დამხაგრა ტიაღმა,  
 შკლის ნუკრისავით ჰატარა  
 მთამ მიმიჩვია ტუიანმა.

ჩემი წიგნია მინდორი,  
 კუთხანი—ჩემი კალამი,  
 ამხანაგები—სარები,  
 ლოგინი—წვრილი წალამი.

ეს არის ჩემი სიცოცხლე,  
 ესე ვატარებ ჩემს დღესა,  
 მესრედ ვარ დაბადებული,  
 ეგრევე მოვკვდები მესრედა.

ფილიმონ სირაძე





# ორი ბელურა

(ფრანგულიდან)



ვალვად იყო, სიმძილი ჩამოვარდა. ორი ბელურა სიმძილმა დიდად შეაწუსა,— ორივე ძალზე გამხდარნი იყვნენ და ოდნავად ფრინავდნენ.

კეთილთა ჩემო ძამიავ! უთხრა უფრო სუსტმა: შენ კიდევ რამდენადმე ძალა შეგჩენია, ვასწი, შეიძლება სადმე მახლობლად, შემთხვევით, რაღაც საკენკი იშოვო. მეც მინდა გამოგვევ, მაგრამ, ძალა გამოძეულია და მოძრაობაც მიძნელებს. ნუ დანანებ, ძამიკო, თუ რაღაც ნახო, მეც მომიტანე; ჩქარა, შენი ჭირიმე, სიმძილი მკლავს.

ამხანაგი ძამინვე გაქანდა, ბედმა გაუღიმა და ცოტა ხნის ფრინვის შემდეგ ალუბალს მოჰკრა თვალი.

აი ბედნიერება და სიკეთე! შესძახა მან, ხესილს კენწურით მოასკუპდა და მადიანად შეექცა მწიფე ნაყოფს. მთელი საათი დაჰყო აქ ჩიტუნამ. მზე უკვე დასავლეთისკენ იყო დასრული, როდესაც მას თავისი ამხანაგი გახსენდა. მოგლიჯა ნაყოფი და დააპირა შინისკენ წასვლა.

მაგრამ, არა! გაურბინა უცბად ფიქრმა,— დღეს დიდად დაღლილი ვარ; შევსჭამ კიდევ ერთ-ორ ალუბალს. დაიწყო ტოტიდან ტოტზე სტუნვა და ალუბლის კენკვა. ამასობაში წვედიადმა მოიცვა არე-მარე და ჩვენმა ბელურამ იქვე ტოტზე




დაიღამა. მორე დღეს კი ადრე დილით გაშობიღვიძა, მოკლი-  
ჯა ალუბლის ძარცვადი და შინისკენ გასწია. გვიანდა იყო:  
ამხანაგი უკვე მოძვედარყო სიმშლიისგან.

ჩვენი ბელურა დიდად დაღონდა და ერთ კვირეს ფრთებ  
ჩამოყრილი და დარეტიანებული დაიარებოდა.

ნუ იტყვი, გაჭირვებულს სვალ ან ზეგ შევეწვიო, თუ  
კი შემთხვევა და შემლება ჩებას გაძლევს დღესვე მოუძარტო  
სელი.


ს. ცომაია





## ქ ვ ი უ ა

(ვაგნერიდან)



ეკიძლიან დასთვალთ, რამდენი მარცვალაა  
შენ საქვიშეში? სწორედ ესევე ვერ მოს-  
თვლი ეველა იმ ისტორიას, რომელსაც  
ისინი თავისთავსე გვიამბობენ, მაგრამ ერ-  
თი უური დაუუგდოთ, თუ რას გავაძევის  
ზოგირთი მათგანი.

ერთი ამ ქვიშის მარცვალთაგანი წინედ მალაღი, უსარ-  
მასარი მთის ნაწილს შეადგენდა, რომლის მწვერვალაც ცას  
ეხვინებოდა და ღრუბლებს მალღიდგან ამბად გაღმოსცქე-  
როდა. მის კალთებსე ჯიხვი და თხები ბალასს სძოვდენ  
მიუვალ კლღებსე უშიძრად ადიოდენ და უფსკრულებს თავსე  
ახტებოდენ. აქვე, ერთი კლღის საფესუსე ფრინველთა მე-  
ფეს, ძლიერ. აწივის, ბუდე გაეკეთებინა, ხოლო შიგნით სიღ-  
რძეში დამალული იყო ვრცელი, ერთი გამოქვამული. იქ  
სცხვრობდენ გამოჩენილი წინაპარნი ჩვენი ქვიშისა. ცი-  
სარტყელას ეველა ფერები, თითქოს ალმასიანო, საამურად და  
თვლის-მომწრელად, ერთმანეთში არეულნი გამოკრთოდენ  
ექსკუთსოვან და სწორ მთის ბროლის ნატყნებიღგან. მათ  
ძორის საამურად გამოიცირობოდენ მუქი, წითელი ამეთის-  
ტები, ევითელი ბექმენღები, ვარღის ფერი თავ-მარილიანი და  
ათასფერი ავიენი.

ეველა ეს ქვები, როგორც ჩვენი ქვიშა, მონათესავენი  
არიან თქვენი ძველი ნაცნობის — ჩვეულებრივი კაციისა.

დრო გამოძევებით მთებზე ჩაქუხებით შეიარაღებული მად-  
ნისმთხრელები აღიან და შიშველ კლდეს უგაკუნებენ. კაკუნის  
ნმით იგებენ ისინი, თუ სად იძულებია ასეთი გამოქვაბული.  
რკინის კეტებით და ჩაქუხებით სთხრიან ისინი შესავალს გა-  
მოქვაბულში, რომლის სიმძვენეირეს ვერ შეედრება ვერც ერთი  
ზღაპრული ცისე-დარბაზი.

განსარგებლნი მადნის-მთხრელნი კლდეებს ძვირფას ქვებს  
აშორებენ და ქალაქებში განსაყიდად მიაქვთ. ძვირფას ქვებისას  
აკეთებენ ათ-სნაირ განსართობს, სვამენ ბეჭდებში, საურეკებში  
და სსვა...

მოსწეინდა ჩვენს ქვიძის მარცვალს ერთ ადგილს ეოფნა;  
მოინდომა მთის სამშობლოს დატოვება და შორს სამგზავროდ  
წასვლა. ეინულმა იგი კლდეს მოსწევიტა; განაფსულზე გამ-  
დნარმა თოვლის წვალმა ნაკადულში ჩაითრია, შემდეგ ქვიდ-  
გან ქვაზე სტომით, ბარისაკენ გააქანა და მდინარეში ჩაიტა-  
ნა. მრავალი სსვა ქვიძა და ქვები წამოლექა მთის ნაკადულმა,  
ქვები მოძრაობის დროს სსკებს ეჯახებოდნენ, იტვრეოდნენ  
და ნაფსვენად იქცეოდნენ, მდინარეს ისინი სღვისაკენ მიჭ-  
ქონდა.

სღვაში მათ ეოველ წლივ თავანთი ნათესავები ემატე-  
ბოდნენ, ასე რომ ბოლოს ნაპირთან ფართო თავთსელა გას-  
ნდა. მოქცევის დროს წვალი ხშირით თავზე გადასდის.  
წელის მატლები და კიბოები იქ თავისთვის საცხოვრებელს  
აკეთებენ, თევზებიც-კი ბლომად სასრდოს ჰოულობენ. მიქცე-  
ვის დროს-კი სილის თავთსელა წელიდგან გამოიეურება.  
სღვის ფრინველები მას სასეირნო ადგილად ირჩევენ, ხოლო  
სღვის დორები ზარმაცად მსეზე თბებიან.

მესღვაურთ თავთსელებისა მეტად ეძინანთ. თუ ქარიშ-  
ხლის დროს, მათი გემი თავთსელას დაეჯახა, უთუოდ დაიმ-  
ტვრევა და ხედ მეოფი მესღვრები იღუპებიან. ამ განსაცდე-



ლის თავიდან ასაძორებლად ამისთანა ადგილებზე ძაღალ კოშკებს აშენებენ, რომელნიც მეზღვაურთ მოსალოდნელ სიფათს წინადაწინვე აცნობებენ. მეზღვაურნიც თავთსელას გვერდს აუვლიან და მშვიდობით თავის გზას გაუდგებიან.

ჩვენი ქვიშის მარცვალთ სსვებთან ერთად ქარმა შორს წაიღო; ერთ ადგილას თავი მოიყარეს და ადგილობრივ ნიანდაგს შეერივნენ. ძაღე ზედ მწვანე, ნოეიერი ბალახი აღმოცენდა. ესლა იქ მრავალი ცხვარი სმოვს და ათასნაირ სუნნელოვან ვეგვილებს ფუტკრები დანტრიალებენ და თაფლის გასაკეთებლად ტკბილ წვეს სწუწნიან.

სსვა მრავალ ქვიშის მარცვლებისაგან უსარმაზარი უდაბნოები განხდენ. იქ ქურციკნი დანავარდობენ და ცხელ სილაზე დადებულ კვეცხებიდან სირაქლმა თავის ბარტყებს სსეკავს.

უდაბნოში მრავალრიცხოვანი ქარავნები დაიარებიან განუწვევლივ. აქლემები ათასნაირი საქონლით, საჭმლითა და წულიან ტიკებით დაუტვირთავთ, სოლო ღამას ცხენებზე მსედარნი სსედან.

უცებ გრივალი ამოვარდა, ქვიშა ცაში ასტეორცნა: ტრიალტრიალით წინ მიაქროლებს. ქარავანი უნდა შედგეს. მგზავრობის განკრძობა შეუძლებელია. ცხოველები და ადამიანები ჰირქვე ემსობიან, არ დგებიან, სანამ გრივალი არ ჩადგება და ქვიშა მიწასე არ დაეძვება.

არა ერთი და ორი აქლემი ან ცხენი დაუღუპავს ამ გრივალს. როცა გიჟი ქარაშხალი წამოეწეოდა, წააქევედა, ქვიშას მიაყრიდა და მთელ გორაკს აღმართავდა უბედურებსედ. გადარწინილი მგზავრები ემურებიან დანტოვოს ეს ადგლები, და ბედნიერნი, რომ სიკვდილს ასცდენ, განაკრძობენ თავიანთ გზას ცხელსა და სტუმართ-უგვარულ უდაბნოში.


ზოგი ქვიშის მარცვლები მინის ქარხანაში მოჭვენენ. მუშები მათ კარგად რეცხავენ, შემდეგ ჰერიას მარცვლებავით

ფქვავენ, ფქვილად აქცევენ, შეურევენ სოდან, ნაცარს, რომელიც მარილს და დიდ თანის ქვევრებში ჭერან, რომელთაც ვადაძნობ ქვევრებს ეძახიან.

საფსე ქვევრს დიდ ღუმელში სდგამენ და ძლიერ ცეცხლს შეუკეთებენ, ასე რომ ქვევრი სიმსურვალისგან თეთრდება.

ძლიერი სიცხისგან ქვიშა მასთან არეულ სხვა ნივთიერებებთან ერთად დნება და სქელ, ფაფასავით, სითხედ იქცევა. ეს მინის ფაფა განლაბეთ. აი ამ ფაფისგან დახელოვნებული და გამოცდილი მუშები ათასგვარ საჭირო საგნებს აკეთებენ: ფანჯრის შუშებს, სარკეებს, ბოთლებს, ჭიქებს, სამელნეებს, გამაღიდეველ შუშებს და მრავალ სხვას. შენ სამუშაო მაგიდაზე დადგმული მინის საქვიშე ნათესავია იმ ქვიშისა, რომელიც მასში ურია და რომელსაც ნაწერის საძრობად სძარობ.

დ. შ.



# ქეიძთან

(რუსულით)



უთი წლის ნინოს ლამაზი შავთვალ-წარბა დედოფალი ჭკავდა. ერთხელ საზნით ჰირი დაჭბანა და კარგა მაგრად გაამძრალა ჰირსასოცით. მაგრამ ვაი იმ დაბანას: თვალები აღარსად უხანდა და წარბებიც გასუნებოდა.

— ფუ, რა საძაგელია! დაიწყო ტირილი ნინომ.

— რა დაგეძარათ, ნინო? ჭკითხა ძმამ.

— დედოფალი დამიბრძავდა.

ლეგანმა გასინჯა დედოფალი.

— არა უშავს რა, ექიმთან წავიყვანოთ, ის მოარჩენს, — დამძვიდა მტირალი.

— სად არის ექიმი? ჭკითხა ნინომ.

— ძალიან ახლო, ჩვენს კვერდზე, მე რე სწორედ თვალები ექიმა.

ნინოს მოაგონდა, რომ ექიმი მართლა ახლო იდგა და გაჩუბდა. წუთს შემდეგ ის არწებდა თავის შვილს და უაღეზრებდა:

— ნუ ტირი, ნუ ტირი, ჩემო კარგო, სვალ ექიმთან წავიყვან.

მეორე დღეს ნინოს გადააფიწვდა დედოფლის უბედურობა და მხიარულად დასტოდა ესოში. მეხობლის შვილი ლადო იქვე დარბოდა თავის ურძით.

— ნინო! გამოიყვანე შენი დედოფალი, ურეკში ჩავსვამ.

— ესლავუ!



ნინო გაიქცა, მოიუგანა დედოფალი, მაგრამ მოაკონდა მისი სიბრძნე.

ნინო შედგა. ჰატარა ხანს დაუქრდა, ლადოს სთხოვა — ცოტა ხანს მომიცადეო, და გავარდა ქუჩაში.

ექიმთან ასავალი კარი ღია დაუსვდა. ნინო შევიდა, ფისი კიბეზე შესდგა და რიღასიც შეეშინდა. უკან დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ამ დროს კარებში ვიღაც გამოჩნდა.

— ვინ გინდა, ბავშუო?

— მე... ექიმი...

— მობრძანდი.

კაცმა აიუგანა კიბეზე, გაუღო სასტუმროს კარები და თან უკვირდა, რომ ასეთი ჰატარა ბავშვი მარტო მოვიდა ექიმთან.

სასტუმროში სუთამდე თვალებ ახვეული ავადმყოფი იჯდა. ნინოს გული მიეცა: მართლა თვალებას ექიმი ეოფილბო.

— ექიმი სადა ბრძანდება? — იკითხა ნინომ.

ამ დროს მეორე ოთახიდან გამოჩნდა თეთრ სათვალე-ბიანი სნიერი კაცი.

— აგერ ექიმი, — უჩვენეს ჰატარა ქალს იქ მეოფთ.

ნინომ შიშობინა ექიმთან და გაუშვირა დედოფალი.

— რა გინდა, ჰატარავ?

— მე... თქვენთან... თქვენთან მოვედი...

— ვინ მოგიუგანა? დედამ?

— არა, მარტო:

— მარტო? აბა რა გტკივა?

— დედოფალს სტკივა... თვალები.

— დედოფალს?

ავადმყოფები ბავშუს შემოეხვივნენ. ექიმმა გამოართვა დედოფალი, — დაჰხედა და გაიცინა. ნინო უფრო გამხეკდა.

— გუშინ... მინდოდა ჰირი დამებანა... სახნით... და დაბრძანდა.

— ესლევ მოვარხენ, წამოიძახა ექიმმა, აიღო კალაძი და დაუსწრა მკლნით თვალწარბი.

— მზად არის, წაიდე, ოდონდ სკელი არ ასლო, სადა მომდის გულანდმა იწვეს, მერე კი შეგიძლიან ითამაშო. სახანით ჰიწის ნუღარ დაჭბან.


— აღარ დავბან, აღარ,

ნინომ აიტაცა დედოფალი და ისე განიქცა, რომ მადლობის გადახდაც კი დაავიწუდა. ექიმმა და ავადმყოფებმა დიმილით თვალი გახეოდეს განარეებულ ბავშვს.

შინ ჰატარა ნინომ ეველას უამბო, როგორ მოარჩინა ექიმმა იმისი დედოფალი. დედოფალი ესლაც ცოცხალია.

თ. ბაქრაძე





აკროსტიხი

ის იყო ძამა ქართველი, ნამდვილი მასწავლებელი,  
ლექსებით, ზოემებითა საქები, სადიდებელი,  
იგი მოგვიკლეს ბოროტთა, კეთილად საგონებელი,  
ატირდა ცხ და ქვეყნა, ერიც მის მთაუვანებელი!...

მ. ლელაშვილი.

გამოცანები

თეთრად დავიბადე, წითლად გავისარდე, შავად დავებრდი.

თავი კუდითა ჰკიდიბ.

რეზუსი



მე-22 №-ში მოთავსებულ გამოცანების ასსა:

რეზუსის ასსა: აკაკი წერეთელი

გამოცანების ასსა: -1) წიგნი, -2) კლამი და შელანი -3) ფანქარა.





# მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საქმასწავლებლო სურათებისანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

**12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერ ი:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.